საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2736 2016 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეუფერხებლად ჩატარებისთვის, მიეცეს უფლება წყალტუბოს მუნიციპალიტეტს, 2016 წლის 21-22 ნოემბერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად ქალაქ წყალტუბოში დაზიანებული სანატორიუმების შენობების სახურავების შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა, 21 192 (ოცდაერთი ათას ას ოთხმოცდათორმეტი) ლარის ფარგლებში, განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი